



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

011 განათლების კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები: დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ((ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)); მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)., ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადებაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

19-21.05.25

დასკვნის წარდგენის თარიღი

01.07.25

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურდიული პირი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასტრიდ ლილიანა მენჭკოვსკა - კრისტიანსენი - პოლონეთის საზღვაო აკადემია; პოლონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან თოდაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ფიქრია ვარდოსანიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანი ხეცურიანი, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5
საგანმანათლებლო სახელწოდება	დაწყებითი განათლება	განათლების მეცნიერება	სკოლამდელი განათლება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ((ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური);	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)
				გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური);	

				სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური))	
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა	საბაკალავრო პროგრამა		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი	განათლების მეცნიერების მაგისტრი	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას. ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. ბ) იმ შემთხვევაში თუ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მასწავლებლის მომზადების	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას. ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. ბ) იმ შემთხვევაში თუ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მასწავლებლის მომზადების

				საგანმანათლებლო პროგრამას, დიპლომში და დიპლომის დანართში მიეთითება საგნ(ებ)ის სწავლების უფლება ზოგადი განათლების შესაბამის საფეხურზე.	საგანმანათლებლო პროგრამას, დიპლომში და დიპლომის დანართში მიეთითება საგნ(ებ)ის სწავლების უფლება ზოგადი განათლების შესაბამის საფეხურზე.
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე	0111 განათლების მეცნიერება	0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნობრივი ჯგუფის უფლების მითითება	შემდეგი საგნების სწავლების უფლებით: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და			1. ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	1. მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური) 2. ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)

	ზოგადი განათლების I - IV კლასის საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნების ჯგუფი და V - VI კლასის ქართული ენა და ლიტერატურა / მათემატიკა / საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნები.			2. ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). 3. გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). 4. ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). 5. რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური). 6. ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური) 7. გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური) 8. სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	3. ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური) 4. ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური) 5. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები 6. მუსიკა 7. ფიზიკური აღზრდა და სპორტი
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული

ECTS კრედიტების რაოდენობა	300	120	240	60	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორის ო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 01.08.2018, №90	აკრედიტებული 13.09.2021, №906387	აკრედიტებული 11.08.2023, №988458	აკრედიტებული 17.03.2016, №3	აკრედიტებული 17.03.2016, №3;

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

011 განათლების კლასტერში დაჯგუფებულია შემდეგი პროგრამები: დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; სკოლამდელი განათლების, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)); მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი). დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N90, 01.08.2018). განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ს აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N906387, 13.09.2021). სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2023 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N988458, 11.08.2023). მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2016 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N3, 17.03.2016). 2024 წელს პედაგოგიკის ფაკულტეტმა დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მომზადება. აღნიშნული პროცესის განმავლობაში კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი დანართით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ასევე, ამავე ბრძანების მეორე დანართით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, აკრედიტაციის სტანდარტების, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების, სკოლამდელი განათლების და მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების, ასევე, სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული კომპეტენციების შესაბამისად.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციები განისაზღვრა განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, დეტალური სწავლის სფეროების მიხედვით, კერძოდ:

მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით (0113): დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა "განათლების მაგისტრი", ზოგადი განათლების I - IV კლასის ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლებით და V - VI კლასის ქართული ენის და ლიტერატურის / მათემატიკის / საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების სწავლების უფლებით.

განათლების მეცნიერება (0111): განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა "განათლების მეცნიერების მაგისტრი".

სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება (0112): "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა "სკოლამდელი განათლების ბაკალავრი".

მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით (0114): მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას.

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

ბ) იმ შემთხვევაში თუ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, დიპლომში და დიპლომის დანართში მიეთითება საგნ(ებ)ის სწავლების უფლება ზოგადი განათლების შესაბამის საფეხურზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებია:

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის ხანგრძლივობა - 10 სემესტრი;

პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს:

თავისუფალი კომპონენტის მოდული - 50 კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო - 35 კრედიტი;

არჩევითი - 15 კრედიტი;

პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის / საგნობრივი ჯგუფის და მეთოდოლოგიური მოდული - 185 კრედიტი;

საგნობრივი ჯგუფის სასწავლო დისციპლინები - 115 კრედიტი (ყველა სავალდებულო);

სპეციალობის არჩევითი მოდულის დისციპლინები - 15 კრედიტი (ყველა სავალდებულო);

პედაგოგიკა - ფსიქოლოგიის დისციპლინები - 40 კრედიტი (ყველა სავალდებულო);

სპეციალური განათლების დისციპლინები - 10 კრედიტი (ყველა სავალდებულო);

სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევის მოდული - 70 კრედიტი (ყველა სავალდებულო).

განათლების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი

პროგრამის მოცულობა - 120 კრედიტი:

სავალდებულო კურსები - 65 კრედიტი;

პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი;

არჩევითი კურსები - 20 კრედიტი.

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხანგრძლივობა - 8 სემესტრი

პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - 40 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები - 100 კრედიტი;

დარგის სპეციფიკით განსაზღვრული პრაქტიკა / პრაქტიკები - 40 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები - 60 კრედიტი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

(ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური))

პროგრამის ხანგრძლივობა - 2 სემესტრი

პროგრამის მოცულობა - 60 კრედიტი

პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის ციკლის კურსები - 35 კრედიტი;

საგნის სწავლების მეთოდოლოგიის ციკლის კურსები - 15 კრედიტი;

სასკოლო პრაქტიკა - 10 კრედიტი;

პროგრამა მოიცავს 8 მოდულს საგნის სწავლების მეთოდოლოგიის ციკლის კურსებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)
2. ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)
3. გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)
4. ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)
5. რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)
6. ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)
7. გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)
8. სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

(მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

პროგრამის ხანგრძლივობა - 2 სემესტრი

პროგრამის მოცულობა - 60 კრედიტი;

პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის ციკლის კურსები - 35 კრედიტი;

საგნის სწავლების მეთოდოლოგიის ციკლის კურსები - 15 კრედიტი;

სასკოლო პრაქტიკა - 10 კრედიტი;

პროგრამა მოიცავს 7 მოდულს საგნის სწავლების მეთოდოლოგიის ციკლის კურსებში:

1. მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)
2. ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)
3. ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)
4. ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)
5. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
6. მუსიკა
7. ფიზიკური აღზრდა და სპორტი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები შედის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხაში.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 19 - 21 მაისს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების განათლების მეცნიერების და მასწავლებლის მომზადების პროგრამების (5 პროგრამა) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ძირითადი დოკუმენტები, გამართა შეხვედრები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, დაათვალიერა ძირითადი სასწავლო ობიექტები. ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა სასწავლო გეგმის სტრუქტურა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასება, სასწავლო რესურსები, სტუდენტების მიღწევები და მათი მხარდამჭერი სერვისები და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში და დამხმარე დოკუმენტები (მაგ. სილაბუსები, შეფასების პოლიტიკა). ვიზიტისას ჩატარდა სტრუქტურირებული შეხვედრები: უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან (რექტორი, დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი), აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესაბამისი სივრცეები, მათ შორის სალექციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, სასწავლო ლაბორატორიები და ა.შ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელმა მაღალ დონეზე ითანამშრომლა ექსპერტთა ჯგუფთან, გასაუბრებების ფარგლებში დასმულ კითხვებზე წარმოადგინეს ამომწურავი პასუხები და ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები

კომპონენტი 3.2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის / თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას.

რჩევები

კომპონენტი 1.4 - კლასტერული რჩევები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურენოვან ვერსიებში მითითებული იყოს კვალიფიკაციის სახელწოდებების ზუსტი ფორმულირებები სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განსაზღვრული სახელწოდებების შესაბამისად, როგორც ეს წარმოდგენილია დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში.
- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების გავრცელებით და შევსებით, რათა საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, როგორცაა სტუდენტები და კურსდამთავრებულები, საჭიროებებს და მოლოდინებს.

რჩევები კომპონენტი 1.4-ისთვის: პროგრამა 2- „განათლების მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამა:

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი კომპონენტი, იმისათვის, რომ სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ, ბოლო სემესტრში სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა სრულად იყოს ორიენტირებული კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

კომპონენტი 1.4 - პროგრამა 4 და 5 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები):

- სასურველია, პროგრამის თანმიმდევრული ათვისების უზრუნველყოფის მიზნით, გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები, მაგალითად, "ინკლუზიური განათლების" სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს "ზოგადი პედაგოგიკის" სასწავლო კურსი.

კომპონენტი 1.5 - კლასტერული რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს სავალდებულო ლიტერატურის პერიოდული განახლების პოლიტიკა ან შიდა რეგულაცია.
- სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანამედროვე კვლევების გამოყენება ყველა სასწავლო კურსში და არა მხოლოდ პირადი ინიციატივის საფუძველზე.

კომპონენტი 2.1- პროგრამა 2: 2. განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, პროგრამის წინაპირობებში მკაფიოდ განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის მოთხოვნისგან გათავისუფლების კრიტერიუმები, დაშვებული სერტიფიკატების და მინიმალური ქულების მითითებით. (კომპონენტი 2.1)

კომპონენტი 2.2 - კლასტერული რჩევები:

- სასურველია, შეთანხმებების განუსაზღვრელი ვადით გაფორმების ნაცვლად, გარე დაწესებულებებთან სტაჟირებასთან დაკავშირებული ურთიერთგაგების მემორანდუმები სისტემატურად განახლდეს, მაგალითად, სამ წელიწადში ერთხელ.
- სასურველია, გაძლიერდეს სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრაქტიკა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შეისწავლიან STEM - ის საგნებს, ასევე, სასურველია გაფართოვდეს ლაბორატორიული და ექსპერიმენტული შესაძლებლობები.
- სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტებისთვის მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების ან ვირტუალური თანამშრომლობითი პროექტების შეთავაზებით.

კომპონენტი 2.4 - კლასტერული რჩევა:

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციაში მიეთითოს ბიბლიოგრაფიის და ლიტერატურის მინიმალური ზღვარი, რომელიც გათვალისწინებული იქნება როგორც აკადემიური სტატია, აკადემიური ჟურნალი ან სამეცნიერო პუბლიკაცია.
- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების ინგლისური ენის უნარები, იმისათვის, რომ შეძლონ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში.

კომპონენტი 3.2 - "განათლების მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას განისაზღვროს აკადემიური წყაროების მინიმალური რაოდენობა, ასევე, წყაროების აკადემიური დონის მკაფიო კრიტერიუმები (მაგ. რეცენზირებული ჟურნალები, მაღალი რეიტინგის მქონე პუბლიკაციები და საერთაშორისო კვლევები).
- სასურველია, მაღალი აკადემიური სტანდარტების უზრუნველსაყოფად და პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდეს ციტირებული წყაროების ავთენტურობის და აქტუალობის მონიტორინგი.

კომპონენტი 4.3 - კლასტერული რჩევა:

- სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის უნარები, რაც მათ საშუალებას მისცემს გაეცნონ უახლეს საერთაშორისო ლიტერატურას და გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

კომპონენტი 4.5 - კლასტერული რჩევა:

- სასურველია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტში გაითვალისწინოს სტაჟირების ხარჯები.

კომპონენტი 5.1 - კლასტერული რჩევები:

- სასურველია, შეიმუშაოთ სტრუქტურირებული მექანიზმები დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობისთვის: მაგალითად კურსდამთავრებულთა პანელური შეხვედრები სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის და სხვა. უფრო პატარა პროგრამებისთვის უმჯობესია პირისპირ შეხვედრების ჩატარება.
- სასურველია, რეგულარულ რეჟიმში განხორციელდეს ზემოქმედების ანგარიშების გაზიარება, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესებების და წარმატების ისტორიების შესახებ. აღნიშნული ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას, გააძლიერებს დაინტერესებული მხარეების ნდობას და გაზრდის უნივერსიტეტის რეპუტაციას.

კომპონენტი 5.2 - კლასტერული რჩევა:

- სასურველია, პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა.

კომპონენტი 5.3 - კლასტერული რჩევები:

- მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება უკუკავშირის შეგროვება, სასურველია, დაწესებულებამ განსაზღვროს თუ როგორ ხორციელდება უკუკავშირის ანალიზი და გამოყენება პროგრამის განახლების და განვითარების მიზნით. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს გამჭვირვალე სამოქმედო გეგმა, რომელშიც აისახება უკუკავშირის თითოეული ელემენტის გათვალისწინება და უკუკავშირის ციკლის დასრულების მიზნით შედეგების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.

კომპონენტი 5.3 - კლასტერული რჩევები: "განათლების მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სასურველია, სამეცნიერო კომპონენტის არსებობისა და სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური ხელმძღვანელობის შეფასების მექანიზმების გაძლიერება. ამჟამად ამ მიმართულებით არსებული მექანიზმი (მარტივი კითხვარი) არ არის სრულად დამაკმაყოფილებელი. შესაბამისად, სასურველია, ფოკუს ჯგუფების ორგანიზება, მათში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვა, რათა განიხილონ და შეიმუშავონ სათანადო მექანიზმები.

კომპონენტი 5.3 - კლასტერული რჩევები: დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- სასურველია, სამეცნიერო კომპონენტის არსებობისა და სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური ხელმძღვანელობის შეფასების მექანიზმების გაძლიერება. ამჟამად ამ მიმართულებით არსებული მექანიზმი (მარტივი კითხვარი) არ არის სრულად დამაკმაყოფილებელი. შესაბამისად, სასურველია, ფოკუს ჯგუფების ორგანიზება, მათში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვა, რათა განიხილონ და შეიმუშავონ სათანადო მექანიზმები.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა უნივერსიტეტის პოზიცია მე-2 პროგრამის - განათლების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის - 1.4 კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით და ის რჩევად გადაკვალიფიცირა, იმის გათვალისწინებით, რომ ის პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურასა და კრედიტების განაწილებაში ცვლილებებს გულისხმობს. ვიმედოვნებთ, რომ უნივერსიტეტი გაითვალისწინებს ამ რჩევას და განახორციელებს საჭირო ცვლილებებს პროგრამის უწყვეტი განვითარების მხარდასაჭერად.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს უნივერსიტეტის პოზიციას 2.2 კომპონენტის რეკომენდაციაზე - კლასტერის რეკომენდაციაზე. ეს რეკომენდაცია ახლა რჩევად ჩამოყალიბდა და მეტწილად ტექნიკური ხასიათისაა; უნივერსიტეტის განმარტებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე მითითებულია, რომ სტაჟირების სისტემა ადეკვატურად არის შემუშავებული და დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები უმეტესად უვალია.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა უნივერსიტეტის პოზიცია კომპონენტ 2.4-ის რეკომენდაციაზე - კლასტერის რეკომენდაციაზე. წინა რეკომენდაცია რჩევად ჩამოყალიბდა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა უნივერსიტეტის პოზიცია კომპონენტ 5.1-ის რეკომენდაციაზე - კლასტერის რეკომენდაციაზე. წინა რეკომენდაცია რჩევად ჩამოყალიბდა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია კომპონენტ 5.3-ის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „დაწყებითი განათლების“ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-ასმაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, რეკომენდაცია წაიშალა, თუმცა მის ნაცვლად ჩამოყალიბდა შესაბამისი რჩევა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა უნივერსიტეტის პოზიცია კომპონენტ 5.3-ის რეკომენდაციასთან დაკავშირებით: განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, რეკომენდაცია წაიშალა, თუმცა მის ნაცვლად ჩამოყალიბდა შესაბამისი რჩევა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ დასაბუთებას, არგუმენტაციას და ახსნა - განმარტებას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და / ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

- დოკუმენტების შესწავლა
- ადგილზე ვიზიტი / დისტანციური შეფასება
- სტანდარტებზე დაფუძნებული შეფასება
- წინასწარი კითხვების ჩამოყალიბება
- შეხვედრები და გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან
- კამპუსის დათვალიერების ტური
- ანალიზი და განხილვა

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
2. კლასტერული შეფასება

სტანდარტი / კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური

4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. თითოეული პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის (მე-6 ან მე-7 დონე) კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სწავლის სფეროების შინაარსს და შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად კურსდამთავრებულებში. მიზნები შეესაბამება უსდ - ს და მისი საგანმანათლებლო ერთეულის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მათში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხები. მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. მათში ასევე ასახულია პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

ინდივიდუალური შეფასება

1. აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (2) მიზნები ჩამოყალიბებულია დეტალური სფეროს აღმწერის, მე-7 დონის კვალიფიკაციების და დაწყებით საფეხურზე ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად კურსდამთავრებულებში. მიზნები შეესაბამება უსდ - ს და მისი საგანმანათლებლო ერთეულის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მათში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხები. მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. მათში ასევე ასახულია პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

2. აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (განათლების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (2) მიზნები ჩამოყალიბებულია დეტალური სფეროს აღმწერის, მე-7 დონის კვალიფიკაციების და დაწყებით საფეხურზე ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. თითოეული პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეტალური სწავლის სფეროების შინაარსს და შესაბამის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად კურსდამთავრებულებში. მიზნები შეესაბამება უსდ - ს და საგანმანათლებლო ერთეულის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მათში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხები. მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. მათში ასევე ასახულია პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

3. აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (2) მიზნები ჩამოყალიბებულია დეტალური სფეროს აღმწერის, მე-6 დონის კვალიფიკაციების და დაწყებით საფეხურზე ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. მიზნები ნათლად არის

ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად კურსდამთავრებულებში. მიზნები შეესაბამება უსდ - ს და მისი საგანმანათლებლო ერთეულის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მათში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხები. მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. მათში ასევე ასახულია პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

4. აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური))

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (2) მიზნები ჩამოყალიბებულია დეტალური სფეროს აღწერის, მე-6 დონის კვალიფიკაციების და დაწყებით საფეხურზე ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად კურსდამთავრებულებში. მიზნები შეესაბამება უსდ - ს და საგანმანათლებლო ერთეულის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მათში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხები. მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. მათში ასევე ასახულია პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

5. აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა:(მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (2) მიზნები ჩამოყალიბებულია დეტალური სფეროს აღწერის, მე-6 დონის კვალიფიკაციების და დაწყებით საფეხურზე ზოგადი განათლების მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარების და

კომპეტენციების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად კურსდამთავრებულებში. მიზნები შეესაბამება უსდ - ს და საგანმანათლებლო ერთეულის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მათში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითხები. მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი. მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. მათში ასევე ასახულია პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- დარგობრივი მახასიათებლები;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ - გვერდი;
- უსდ - ს და ფაკულტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- გასაუბრების შედეგები.

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 - "დაწყებითი განათლება", მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი: რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 5 - მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება¹

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლება, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული	☒	☐	☐	☐

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

საბაკალავრო-
სამაგისტრო
საგანმანათლებლო
პროგრამა

პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - "კოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები შეიძენენ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის სფეროს შინაარსს, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და ეფუძნება დარგის განვითარების ტენდენციებს. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა, სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში შეზღუდულია სტუდენტების ჩართულობა პროცესის სხვა მონაწილეებთან (აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები) შედარებით.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და უზრუნველყოფს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები შეიძენენ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის სფეროს შინაარსს, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და ეფუძნება დარგის განვითარების ტენდენციებს. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა, სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში შეზღუდულია სტუდენტების ჩართულობა პროცესის სხვა მონაწილეებთან (აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები) შედარებით.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და უზრუნველყოფს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების

შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (განათლების მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები შეიძენენ სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის სფეროს შინაარსს, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და ეფუძნება დარგის განვითარების ტენდენციებს. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა, სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში შეზღუდულია სტუდენტების ჩართულობა პროცესის სხვა მონაწილეებთან (აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები) შედარებით.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და უზრუნველყოფს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები შეიძენენ საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის სფეროს შინაარსს, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და ეფუძნება დარგის განვითარების ტენდენციებს. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა, სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში შეზღუდულია სტუდენტების ჩართულობა პროცესის სხვა მონაწილეებთან (აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები) შედარებით.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და უზრუნველყოფს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური))

მე-6 დონის კვალიფიკაციის აღმწერის და უმაღლეს განათლებაში მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც შეიძენენ სტუდენტები. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის სფეროს შინაარსს, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და ეფუძნება დარგის განვითარების ტენდენციებს. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა, სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში შეზღუდულია სტუდენტების ჩართულობა პროცესის სხვა მონაწილეებთან (აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები) შედარებით.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და უზრუნველყოფს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

მე-6 დონის კვალიფიკაციის აღმწერის და უმაღლეს განათლებაში მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც შეიძენენ სტუდენტები. სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის სფეროს შინაარსს, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და ეფუძნება დარგის განვითარების ტენდენციებს. ისინი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა, სწავლის შედეგების

შემუშავების პროცესში შეზღუდულია სტუდენტების ჩართულობა პროცესის სხვა მონაწილეებთან (აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები) შედარებით.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ითვალისწინებს სფეროს თავისებურებებს და უზრუნველყოფს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- ინტერვიუების შედეგები;
- დარგობრივი მახასიათებლები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 5 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - სკოლამდელი	☒	☐	☐	☐

განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოიყენება ოთხეტაპიანი შეფასების ციკლი: (1) სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, (2) სასწავლო გეგმის ანალიზი, (3) მონაცემების შეგროვება და ანალიზი და (4) შედეგების გამოყენება, რაც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას განსაზღვრული და სისტემატური მიდგომის შესახებ. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია სამიზნე ნიშნულები, ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი მონიტორინგის მონაცემები მიღწევების სამიზნე ნიშნულებთან შესადარებლად. აღნიშნული მექანიზმი ახალია, შესაბამისად, არ არის ხელმისაწვდომი სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის ანგარიშები ან მონაცემები. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შეფასების პერიოდულობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დონის შესაბამისად: 5 წელი ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამისთვის, 4 წელი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის, 2 წელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის და 1 წელი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც იყენებს შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. პირდაპირი შეფასების მეთოდებია: დავალებები, პრეზენტაციები, ესეები, ტესტები რუბრიკებით, რომლებიც დაკავშირებულია კურსის დონის სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი მტკიცებულება წარმოდგენილია სტუდენტების აკადემიური მოსწრებით.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია გამოკითხვები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები), დასაქმების მონაცემები, პროგრამის დასრულების მაჩვენებლები. აღნიშნული მეთოდებით ფასდება სტუდენტების უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

შემუშავებულია სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც აჩვენებს სწავლის შედეგებთან თითოეული კურსის შესაბამისობას სხვადასხვა კოგნიტურ დონეზე (I – გაცნობა; P – პრაქტიკა; M – დაუფლება).

პროგრამის განმახორციელებელი პირები (აკადემიური და მიწვეული პერსონალი) ჩართული არიან შეფასების მექანიზმების შემუშავების და სილაბუსების და რუბრიკების კორექტირების პროცესებში.

დამსაქმებლები (მაგ. სკოლის დირექტორები) მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავების და სასწავლო გეგმის გადახედვის პროცესში და წარმოადგინეს მოსაზრებები პრაქტიკული კომპონენტების შესახებ. კურსდამთავრებულები პროცესში მონაწილეობდნენ გამოკითხვების მეშვეობით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის. პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვების საფუძველზე უკვე განხორციელდა ზოგიერთი ცვლილება, მაგალითად, გაერთიანდა კურსები, განახლდა სასწავლო გეგმა (დაემატა „ხელოვნური ინტელექტის“ და „უსაფრთხო სკოლის“ თემატიკა), გაუმჯობესდა შესაბამისობა პროგრამის და სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- დარგობრივი მახასიათებლები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 - მასწავლებლის	☒	☐	☐	☐

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა				

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შემუშავებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ პროგრამა ეფუძნება ინსტიტუციურ საუკეთესო პრაქტიკებს და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. პროგრამების შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება სწავლების ციკლს და დარგობრივ მახასიათებლებს, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და თანმიმდევრული საგანმანათლებლო გამოცდილების მიღებას. პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს სტუდენტებში კოგნიტური, პრაქტიკული და თეორიული კომპეტენციების განვითარებას. პროგრამები შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპებთან. კრედიტების განაწილება ასახავს სტუდენტის მოსალოდნელ დატვირთვას და მკაფიოდ შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ევროპული უმაღლესი განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას. სასწავლო გეგმების შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის კომპონენტები შექმნილია სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ადეკვატურად მომზადებას პროფესიული ან აკადემიური წინსვლისთვის. პროგრამების სტრუქტურა დაგეგმილია ლოგიკურად, რაც თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული ფორმით აერთიანებს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს. კურსები დალაგებულია ლოგიკური პროგრესიის უზრუნველსაყოფად და განსაზღვრულია წინაპირობები, სტუდენტების მიერ რთული მასალის ასათვისებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობაა:

- დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო – სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 300 კრედიტი, ხანგრძლივობა 5 წელი, 10 სემესტრი;
- განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტი, ხანგრძლივობა 2 წელი, 4 სემესტრი;
- სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 240 კრედიტი, ხანგრძლივობა 4 წელი, 8 სემესტრი;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (2 პროგრამა) - 60 კრედიტი, ხანგრძლივობა 1 წელი, 2 სემესტრი.

თითოეული პროგრამა აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს, ხოლო სემესტრში 30 კრედიტს. ერთი კრედიტი შეესაბამება სტუდენტის 25 საათიან დატვირთვას.

უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურენოვან ვერსიებში პროგრამის სახელწოდებების და კვალიფიკაციების თარგმანის გადახედვა და გასწორება, დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ვერსიების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების

ინგლისურენოვანი ვერსიები უნდა მოიცავდეს კვალიფიკაციის სახელწოდებების ზუსტ ფორმულირებას სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიერ დადგენილი სახელწოდებების შესაბამისად, როგორც ეს წარმოდგენილია დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამებში გათვალისწინებულია თანამედროვე და უახლესი სამეცნიერო - კვლევითი მიღწევები. გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ პერსონალის მიერ გამოცემული წიგნები გამოყენებულია სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება პირადი გამოცდილების შედეგად დაგროვილი პედაგოგიური სიტუაციები და შემთხვევები. ასევე, სტუდენტებთან თანამშრომლობით კონფერენციებზე წარდგენილია სამეცნიერო ნაშრომები. აღნიშნული უზრუნველყოფს აკადემიურ შესაბამისობას და სტუდენტების წვდომას დარგში მიმდინარე მიღწევებზე.

სასწავლო გეგმებში ჩაშენებულია ინტერნაციონალიზაციის ელემენტები, სწავლის სფეროს და პროგრამის დონის შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს საერთაშორისო ლიტერატურას, გლობალურ შემთხვევების შესწავლას, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას ან აკადემიური მობილობის და თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

პროგრამების განვითარება წარმოადგენს თანამშრომლობით პროცესს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების წვლილს. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ აქტიურად მონაწილეობენ პროგრამების განვითარების პროცესში, განსაკუთრებით პროგრამების დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში, სტრუქტურის დახვეწაში და სილაბუსების განახლებაში. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად თანამშრომლობენ პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან და ხშირად ასაქმებენ პროგრამების კურსდამთავრებულებს მასწავლებლის პოზიციებზე. მათ გამოხატეს კმაყოფილება კურსდამთავრებულების კომპეტენციებით და დააფიქსირეს სამომავლო თანამშრომლობის მზაობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ძირითადად შემოიფარგლება გამოკითხვებით და ელექტრონული კითხვარების შევსებით. იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, როგორიცაა სტუდენტები და კურსდამთავრებულები, საჭიროებებს და მოლოდინებს, სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს მათი ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების გავრცელებით და შევსებით. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო გააძლიერებს აკადემიურ და შრომის ბაზრის საჭიროებებთან პროგრამების შესაბამისობას და მათზე რეაგირებას.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით. პოტენციურ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებული მხარეებს

შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროგრამების სტრუქტურის, მიზნების და სწავლის შედეგების შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

- თავისუფალი კომპონენტების მოდული - 50 კრედიტი, მათ შორის:
 - სავალდებულო - 35 კრედიტი;
 - არჩევითი - 15 კრედიტი;
- პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის, დაწყებითი სკოლის საგნების / საგნობრივი ჯგუფების ზოგადი განათლების და მეთოდოლოგიის მოდული - 180 კრედიტი:
 - საგნობრივი ჯგუფების სასწავლო დისციპლინები - 115 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო საგანი).
 - სპეციალიზაციის არჩევითი მოდულის დისციპლინები - 15 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო საგანი).
 - პედაგოგიკა - ფსიქოლოგიის დისციპლინები - 40 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო საგანი).
 - სპეციალური განათლების დისციპლინები - 10 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო საგანი).
- სასკოლო პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის მოდული - 70 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო საგანი).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- სავალდებულო კურსები - 65 კრედიტი;
- პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი;
- არჩევითი საგნები - 20 კრედიტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულია 25 კრედიტი, რომელიც დაგეგმილია ბოლო სემესტრში, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია ერთი დამატებითი 5 კრედიტიანი არჩევითი კურსი. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების თანახმად, სამაგისტრო პროგრამა უნდა

მოიცავდეს დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფდეს ინოვაციური და ორიგინალური იდეების განვითარების საფუძველს. ამისათვის აუცილებელია დროის შესაბამისი განაწილება. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, იმისათვის, რომ სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ, ბოლო სემესტრში სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა სრულად იყოს ორიენტირებული კვლევის დაგეგმვაზე და განხორციელებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები - 40 კრედიტი;
- ძირითად სწავლის სფეროსთან დაკავშირებული კურსები - 100 კრედიტი;
- დარგობრივი პრაქტიკული მომზადება - 40 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები - 60 კრედიტი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 და 5

4. მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური))

5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების (2 პროგრამა) სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- პედაგოგიკა - ფსიქოლოგიის მოდულის დისციპლინები - 35 კრედიტი;
- საგნის სწავლების მეთოდოლოგიის მოდულის დისციპლინები - 15 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკა - 10 კრედიტი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა ლოგიკურად არის განაწილებული ორ სემესტრზე. განსაზღვრულია კურსებზე დაშვების წინაპირობები, თუმცა, პროგრამის

თანმიმდევრულად ათვისების უზრუნველსაყოფად, სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები, მაგ. "ინკლუზიური განათლების" სასწავლო კურსის წინაპირობად უნდა განისაზღვროს "ზოგადი პედაგოგიკის" სასწავლო კურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- პროგრამების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.atsu.edu.ge;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურენოვან ვერსიებში მითითებული იყოს კვალიფიკაციის სახელწოდებების ზუსტი ფორმულირებები სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განსაზღვრული სახელწოდებების შესაბამისად, როგორც ეს წარმოდგენილია დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში.
- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვარების გავრცელებით და შევსებით, რათა საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, როგორიცაა სტუდენტები და კურსდამთავრებულები, საჭიროებებს და მოლოდინებს,

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი კომპონენტი, იმისათვის, რომ სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდგომ, ბოლო სემესტრში სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა სრულად იყოს ორიენტირებული კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

პროგრამა 4 და 5

4. მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური))
5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, პროგრამის თანმიმდევრული ათვისების უზრუნველყოფის მიზნით, გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები, მაგალითად, "ინკლუზიური განათლების" სასწავლო კურსს წინაპირობად განესაზღვროს "ზოგადი პედაგოგიკის" სასწავლო კურსი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
დაწყებითი განათლების, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➤ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

აკადემიური კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს. კურსის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელებთან კონსულტაციების შემდეგ ცვლილებები შეიტანეს სილაბუსებში, რათა კურსის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ასეთი ცვლილებების მაგალითებია: პრაქტიკული კვლევის კურსებში ჩაშენებული დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და წინარე ცოდნის ანალიზის (SWOT) ინტეგრაცია კვლევის მეთოდების კურსებში.

სილაბუსები მოიცავს კურსის სათაურის, ტიპის, კრედიტების რაოდენობის (შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებით), კურსის ხელმძღვანელის, კურსის მიზნების, ფორმატის, სასწავლო შედეგების, შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების, სწავლების/სწავლების მეთოდების, სასწავლო რესურსების, კურსის შინაარსისა და სხვა კომპონენტების დეტალურ აღწერას. კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო საათები, როგორც ჩანს, განისაზღვრება კურსის სირთულისა და დაგეგმილი სასწავლო შედეგების გათვალისწინებით.

ზოგიერთ პრაქტიკულ კურსში დანერგილია სხვადასხვა ინსტრუმენტი (მაგალითად, პროექტზე დაფუძნებული სამუშაო), რათა სწავლების მეთოდები უკეთ შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის შინაარსს.

ფასდება თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი. სწავლებაში ჩართული პერსონალი იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს (მაგალითად, პრეზენტაციები, კომბინირებული ტესტები, პორტფოლიოები), რაც შედეგზე ორიენტირებულ პრაქტიკაა. უნივერსიტეტს აქვს სწავლების მეთოდებთან მიმართებით საერთო ჩარჩო მიდგომა, თუმცა ლექტორები სწავლების მეთოდებს საგნის სპეციფიკას არგებენ, რაც ხელს უწყობს შესაბამისობას.

სილაბუსებში მითითებულია, თუ როგორ ფასდება თითოეული კონკრეტული სწავლის შედეგი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებაში ჩართული პერსონალი აღნიშნავს, ლიტერატურის განახლების მოქნილ და საჭიროებაზე მორგებულ სისტემას, რაშიც ბიბლიოთეკა და პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ. ლიტერატურის შეძენა ხდება დეპარტამენტის რეკომენდაციების საფუძველზე; ასევე, გამოიყენება გარკვეული თარგმნილი

მასალები (მაგალითად, UNICEF-ის სახელმძღვანელოები). მიუხედავად აღნიშნული პროცედურებისა, ბევრ სილაბუსში მოძველებულია სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა (2016 წლამდე).

ზოგიერთ კურსში აშკარად არის ინტეგრირებული უახლესი კვლევის შედეგები, განსაკუთრებით პრაქტიკულ და თანამედროვე საგნობრივ სფეროებში. თუმცა არსებობს კურსები, სადაც არ არის მითითებული თანამედროვე კვლევები ან სფეროს თანამედროვე მიღწევები. აქედან გამომდინარე, უახლესი კვლევითი შედეგების ინტეგრირება სავალდებულო არ არის; არ არსებობს სტანდარტული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კვლევის შედეგების ინტეგრირებას სასწავლო კურსში.

სტუდენტებს აქვთ ღია წვდომა უნივერსიტეტის ფიზიკურ და ონლაინ საბიბლიოთეკო რესურსებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამას დაემატა ახალი კურსები, რომ უკეთ იყოს უზრუნველყოფილი აკადემიური კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (განათლების მეცნიერება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

დაემატა ორი ახალი არჩევითი კურსი: „საგანმანათლებლო ლიდერობის საფუძვლები“ და „გენდერული საკითხები განათლებაში“. კურსი „ბავშვთა უფლებები - თეორია და პრაქტიკა“ შეთავაზებული იქნა როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე, რამაც გაზარდა როგორც ქართველი, ასევე, საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობის შესაძლებლობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამას დაემატა ახალი არჩევითი კურსები. აკადემიური კურსების შინაარსი უზრუნველყოფს ამ კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითქმის ყველა კურსი ამჟამად მოიცავს კვლევის კომპონენტს, რათა სტუდენტებმა შეიძინონ საჭირო პრაქტიკული კვლევითი უნარ-ჩვევები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (მასწავლებლის მომზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)).

მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა გაყოფილია 2 ნაწილად. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: კერძოდ, წინა აკრედიტებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული საგნის სწავლების მეთოდოლოგიის ციკლის 12 მოდულს, რომლებსაც პროგრამის გადახედვის შემდეგ დაემატა 3 მოდული: 1. სამოქალაქო განათლება (საბაზისო და საშუალო დონეები), 2. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (დაწყებითი და საბაზისო დონეები) და 3. ფიზიკური

აღზრდა და სპორტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო დონეები). ამიტომ, პროგრამა ორ დამოუკიდებელ პროგრამად იყოფა და ეს არის პირველი: (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5: მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ორ დამოუკიდებელ პროგრამად იყოფა. ეს მეორეა: (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო მასალები/რესურსები, საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს სავალდებულო ლიტერატურის პერიოდული განახლების პოლიტიკა ან შიდა რეგულაცია.

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანამედროვე კვლევების გამოყენება ყველა სასწავლო კურსში და არა მხოლოდ პირადი ინიციატივის საფუძველზე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2)	☒	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერულ დაჯგუფებული პროგრამებზე მიღების წინაპირობები შემუშავებულია პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით და იმ სტუდენტების მოსაზიდად, რომლებსაც აქვთ პროგრამის აკადემიური კომპონენტის ათვისებისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. აღნიშნული კრიტერიუმების დაწესების მიზანია, მოახდინოს იმ აპლიკანტების იდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ შესაბამისი აკადემიური გამოცდილება და მზაობა, რომ შეასრულონ პროგრამის მოთხოვნები. პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და შესაბამის სექტორულ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივ შესაბამისობას და ინსტიტუციურ მთლიანობას. ისინი, როგორც წესი, მიღების წინაპირობები კარგად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სამართლიანობას და თანაბარ შესაძლებლობებს ყველა განმცხადებლისთვის. არსებობს მკაფიო და ლოგიკური კავშირი პროგრამაზე მიღების კრიტერიუმებსა და პროგრამის შინაარსს, მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენას შორის. ეს შესაბამისობა ხელს უწყობს აკადემიური გამოცდილების თანმიმდევრულობას და ეხმარება სტუდენტებს წარმატების მიღწევაში.

როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს და სპეციფიკას, ასევე, დაწესებულებაში არსებულ რესურსებს. სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ უსდ გაუმკლავდეს სტუდენტების დაგეგმილ რაოდენობას და ხელს უწყობს როგორც პროგრამის ეფექტიან განხორციელებას, ასევე, აკადემიური ხარისხის შენარჩუნებას. უსდ-ში შემუშავებული შიდა რეგულაციების დაცვა ხელს უწყობს სწავლების ხარისხის შენარჩუნებას, რესურსების ხელმისაწვდომობას და სასწავლო პროცესის გამართულ ადმინისტრირებას.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანი და გამჭვირვალეა, გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული კანდიდატისთვის. აღნიშნული გამჭვირვალობა ხელს უწყობს პროგრამაზე მიღების პროცესის სანდოობასა და წარმატებულ კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგია:

- „ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი — ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა დაშვებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან ექვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში;
- საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და ისწავლეს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი უცხო ქვეყანაში;
- პირები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიიღეს კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- გარე და შიდა მობილობა.“

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2. განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

„პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგია:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- უნივერსიტეტის შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

უნივერსიტეტის შიდა გამოცდა მოიცავს:

- სპეციალობის გამოცდას;
- ტესტირებას, უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით.

სპეციალობის გამოცდის მიზანია, შეაფასოს აპლიკანტის ცოდნა პედაგოგიკის მიმართულებით. გამოცდა ჩატარდება წერილობითი ფორმით. საგამოცდო საკითხები მოიცავს სამ შეკითხვას (განათლების თეორია, დიდაქტიკა, განათლების ისტორია, კლასის მართვა) და ერთ პედაგოგიურ სიტუაციას.

- აპლიკანტმა უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური) B2 დონეზე. აპლიკანტის ენის ცოდნის დონე ტესტირებით მოწმდება. აპლიკანტი თავისუფლდება ტესტირებისგან, თუ იგი წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს.

- ზემოაღნიშნულის გარდა, პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება შიდა და გარე მობილობის გზით, რაც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის #10/ნ ბრძანებით - „ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“

(<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1001733?publication=0>) და ასევე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს №12 (17/18) რეზოლუციით დამტკიცებული დოკუმენტით – „სტუდენტური სტატუსის მიღების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“.

- უცხო ქვეყნის მოქალაქეები ასევე მიიღებიან პროგრამაზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამით განსაზღვრული მიღების წინაპირობების თანახმად, აპლიკანტები შეიძლება გათავისუფლდნენ ინგლისური ენის გამოცდისგან, თუ წარმოდგენენ ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. თუმცა, არ არის დაკონკრეტებული, რომელი სერტიფიკატები მიიღება და რა მინიმალური ქულებია საჭირო. შესაბამისად, მეტი გამჭვირვალობისთვის, სასურველია, რომ პროგრამის წინაპირობებში ნათლად იყოს გაწერილი ინგლისური ენის B2 დონის გამოცდიდან გათავისუფლების კრიტერიუმები, მაგალითად, რომელი სერტიფიკატები და რა მინიმალურ ქულები ჩაითვლება საკმარისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგია:

- „ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი — ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა დაშვებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად;

უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან ექვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში;

საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და ისწავლეს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი უცხო ქვეყანაში;

პირები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიიღეს კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- გარე და შიდა მობილობა.“

აღწერა და ანალიზი - პროგრამა

4. (მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);

რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)).

5. მასწავლებლის მომზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები შემდეგია:

- „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
- პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმისთვის შესაბამის სფეროში, ან შესაბამისი სამხედრო/სპორტული პროფესიული განათლება, რომელმაც დაადასტურა საგნობრივი კომპეტენცია ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით და წარმატებით ჩააბარა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი გამოცდა.
- პირს აქვს უფლება საგნობრივი გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების გარეშე დაასრულოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუ იგი ჩარიცხულია ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ საგნის / საგნობრივი ჯგუფის ძირითადი მიმართულებით, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების პროგრამას, მოქმედი ქართული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, და ამავე პროგრამის ფარგლებში გაიარა არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობის კურსები/საგნები.

გასაუბრების დროს, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ მათ ჩააბარეს უნივერსიტეტის შიდა მისაღები გამოცდა და ასევე, წარადგინეს სამოტივაციო წერილი. პროგრამაზე მიღების მიზნით გამოცხადებული იყო კონკურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- აკადემიური საბჭოს 2022 წლის 23 ივლისის №67 (21/22) დადგენილება — სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, სწავლის შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (ბმული: <https://www.atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2021-2022/67-21-22>);
- ATSU-ს ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.atsu.edu.ge>
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2. განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები:

- მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, პროგრამის წინაპირობებში მკაფიოდ განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის მოთხოვნისგან გათავისუფლების კრიტერიუმები, დაშვებული სერტიფიკატების და მინიმალური ქულების მითითებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2. განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐

პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4. - მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 - მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ყველა პროგრამა ცალსახად აკავშირებს პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტებს პროგრამის სწავლის შედეგებთან. სამაგისტრო კვლევითი კურსი სტრატეგიულად გადაიტანეს თეზისის / სამაგისტრო ნაშრომის ფაზასთან უფრო ახლოს, რათა გაუმჯობესებულიყო მისი შესაბამისობა და პრაქტიკაში გამოყენება.

სკოლამდელი აღზრდის პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას პირველივე წლიდან იწყებენ, რაც უზრუნველყოფს უნარების თანმიმდევრულ და ეტაპობრივ განვითარებას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სამაგისტრო ნაშრომის თემები აირჩიონ წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოს ფარგლებში ან წარადგინონ საკუთარი იდეები, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალურად მორგებული სწავლის ფორმატების ჩამოყალიბებას. თითოეულ პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკის კომპონენტი და ხორციელდება ან რეგიონული დონეზე (თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში) ან შერჩეულ პარტნიორ სკოლებთან თანამშრომლობით. სტრუქტურირებული ზედამხედველობის სისტემა აერთიანებს უნივერსიტეტის მიერ დანიშნულ კოორდინატორებს, მენტორებს პრაქტიკის დაწესებულებებიდან და მკაფიო შეფასების მექანიზმებს (მაგალითად, დღიურები, დაკვირვებები, საბოლოო პროექტი მენტორის / დირექტორის ხელმოწერით). ფაკულტეტი ოფიციალურად წარადგენს პრაქტიკის ხელმძღვანელების კანდიდატურებს, ხოლო სკოლის დირექტორები ჩართული არიან ზედამხედველობისა და მონიტორინგის

პროცესში. სტუდენტები მონაწილეობენ ინტერდისციპლინურ კლუბებსა და საზაფხულო სკოლებში, რაც მათ აძლევს დამატებით შესაძლებლობებს შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და პერფორმანსისათვის. ზოგიერთი სტუდენტი (განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით) აღნიშნავს პრაქტიკული სესიების (მაგ., ლაბორატორიული ექსპერიმენტების) ნაკლებობას, რაც ხელს უშლის მათ უნარების განვითარებას კონკრეტულ სფეროში. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა ასევე ახსენა არასაკმარისი პრაქტიკა და უფრო ინკლუზიური საგანმანათლებლო შინაარსის საჭიროება.

გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა რეგიონში მდებარე პრაქტიკის დაწესებულებებთან, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, პრაქტიკა გაიარონ ლოკალურად (ადგილობრივად). ხელშეკრულებები, როგორც წესი, განსაზღვრავს მიზნებს, ხანგრძლივობას, სტუდენტების რაოდენობას და პასუხისმგებლობებს. დამსაქმებლები ადასტურებენ პროგრამის შემუშავებაში საკუთარ აქტიურ ჩართულობასა და მიმდინარე თანამშრომლობას, მათ შორის მასწავლებელთა შერჩევისა და მონიტორინგის პროცესებში. უნივერსიტეტმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. თუმცა, აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებიდან ბევრი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას.

პრაქტიკის პროცესს ზედამხედველობას უწევს როგორც აკადემიური, ისე, საველე (სფეროს) მენტორები. შეფასება მოიცავს დაგეგმვისა და განხორციელების მიმოხილვას, დღიურებს და სტრუქტურირებულ უკუკავშირს. საველე მენტორები და სკოლის დირექტორები აფასებენ სტუდენტის აქტივობებს და ხელს აწერენ საბოლოო შეფასების დოკუმენტებს.

პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტები მონაწილეობენ უნივერსიტეტის, უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო (ონლაინ) კონფერენციებში. ინტერვიუზე ბევრმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში.

პროგრამის პრაქტიკული/კრეატიული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისად. არსებობს შესაძლებლობა წარმოდგენაზე დაფუძნებული აქტივობებისთვის (მაგალითად, დრამის კლუბი, FabLab პროექტები, საზაფხულო სკოლები).

კურსდამთავრებულები ინარჩუნებენ კავშირს უნივერსიტეტთან და ხშირად თავიანთ სკოლებში იღებენ მოქმედ სტუდენტებს პრაქტიკის გასავლელად.

უნივერსიტეტს სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები. თუმცა, მეტი ყურადღებაა საჭირო საერთაშორისო მობილობაში ან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის

უზრუნველსაყოფად. სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ნაკლებობა მიუთითებს სტუდენტებისათვის საერთაშორისო გამოცდილების ნაკლებობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დასრულებული პრაქტიკის კომპონენტი და პრაქტიკის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თანამშრომლობის შეთანხმებები / მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, განახლდეს მემორანდუმები პრაქტიკის დაწესებულებებთან.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, შეთანხმებების განუსაზღვრელი ვადით გაფორმების ნაცვლად, გარე დაწესებულებებთან სტაჟირებასთან დაკავშირებული ურთიერთგაგების მემორანდუმები სისტემატურად განახლდეს, მაგალითად, სამ წელიწადში ერთხელ.

სასურველია, გაძლიერდეს სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრაქტიკა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შეისწავლიან STEM - ის საგნებს, ასევე, სასურველია გაფართოვდეს ლაბორატორიული და ექსპერიმენტული შესაძლებლობები.

სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტებისთვის მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების ან ვირტუალური თანამშრომლობითი პროექტების შეთავაზებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დაწყებითი განათლება, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (განათლების მეცნიერება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (სკოლამდელი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 1)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 (მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2)	☒	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. თითოეული აკადემიური კურსის / საგნის სწავლებისა და სწავლის

მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის / საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, სექტორულ საორიენტაციო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; სწავლა -სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ინტერაქციას როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე, თავად სტუდენტებს შორის; უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიითა და პასუხისმგებლობით და მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას. ისინი ძირითადად უკავშირდება კონსტრუქტივისტულ/სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას აკადემიურ დიდაქტიკაში და მოიცავს ისეთ მეთოდებსა და სტრატეგიებს, როგორებიცაა: შემთხვევის ანალიზი (case study), პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კრიტიკული კითხვის სტრატეგიები, ასევე, თანამშრომლობითი და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლის ფორმები. სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, სწავლის უნივერსალური დიზაინის (UDL) მოდელის დეკლარირებული გამოყენებით. არსებობს გამოხატული მზაობა ინდივიდუალურად მორგებული პროგრამების შექმნისა და განხორციელებისთვის, რომლებიც ემსახურება სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მზაობის გათვალისწინებით სწავლების პერსონალიზაციას. არსებობს სტუდენტების ინტერესებსა და აკადემიურ საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური პროგრამების შექმნისა და განხორციელების მზაობა. შემუშავებულია პროცედურები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების მოთხოვნებზე რეაგირების მიზნით. განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეებში ინტერესებისა და ნიჭის განვითარების ხელშესაწყობად, არსებობს სწავლების მეთოდები, ორგანიზების ფორმები და კლასგარეშე აქტივობები. ესენია სამეცნიერო კლუბებში მონაწილეობა, აკადემიური მიმართულებით შეჯიბრებების ან ოლიმპიადების ორგანიზება და აკადემიური პერსონალისგან დამატებითი - ინდივიდუალური - მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა/საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც დაჯგუფებულია კლასტერში,
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- გასაუბრებების შედეგები.
კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი უზრუნველყოფილია შესაბამისი საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით. . ეს რესურსები საკმარისია პროგრამის მიზნებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად. ინფრასტრუქტურა შეესაბამება პროგრამების აკადემიურ და პრაქტიკულ საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ სწავლების, სწავლისა და კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ინსტრუმენტები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია კურსების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა, დამატებით სასწავლო მასალებთან, მათ შორის ელექტრონულ რესურსებთან ერთად. საგანმანათლებლო მასალებზე ასეთი ღია წვდომა მნიშვნელოვანია და ეხმარება სტუდენტს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში. . სტუდენტები სარგებლობენ თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემებით, ციფრული რესურსებითა და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებით. ყველა მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსი თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. გარდა ამისა, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების შესახებ და ეძლევათ მითითებები, თუ როგორ მიიღონ მათზე წვდომა და გამოიყენონ ისინი ეფექტურად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ინსტიტუციურ რესურსებს იყენებდნენ თავიანთი აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

როგორც უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, 2018 წლიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ორენოვანი ვებსაიტი წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას, რომელიც აერთიანებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ინფორმაციას. იგი უზრუნველყოფს წვდომას ისეთ სერვისებზე, როგორიცაა ელექტრონული კატალოგი, წიგნების ონლაინ დაჯავშნა, ელექტრონული რესურსები, ბიბლიოთეკათშორისი სერვისები და ციფრული წიგნების შეკვეთა. ელექტრონული კატალოგი (<http://atsu.library.ac.ge>) ფუნქციონირებს როგორც ინტეგრირებული

ბიბლიოთეკის სისტემა (ILS) და სთავაზობს ძირითადი სერვისების ფართო სპექტრს, მათ შორის კატალოგიზაციასა და ინვენტარის მართვას, ვებ-ზე დაფუძნებულ საჯარო წვდომის კატალოგს (OPAC), ცირკულაციის მართვას, ანგარიშგების ფუნქციებს და სხვა სისტემებთან სინქრონიზაციას. კატალოგში ასევე ინკორპორირებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი სრულად დიგიტალიზებული გუტენბერგის ბიბლიოთეკა და ინტეგრირებულია Google Search-თან, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შეისწავლონ და მიიღონ წვდომა ბიბლიოთეკის ყველა რესურსზე ერთიანი საძიებო ინტერფეისის საშუალებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ნაბეჭდი წიგნების მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექცია, რომელიც სრულად შეესაბამება მისი აკადემიური პროგრამების სასწავლო გეგმებში მითითებულ ლიტერატურას. ფიზიკური ფონდების გარდა, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ციფრული რესურსების ფართო სპექტრს, მათ შორის ელექტრონულ წიგნებს, აუდიო წიგნებს, აუდიო და ვიდეო ლექციებს, სასწავლო მასალებს, პერიოდულ გამოცემებსა და სხვა ციფრულ პუბლიკაციებს. ეს რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ადგილზე, ასევე, დისტანციურად. მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად, ბიბლიოთეკა სთავაზობს ელექტრონულ კატალოგს და ციფრული ბიბლიოთეკის გზამკვლევს. ასევე, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკათმორისი სესხების სერვისები, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ისესხონ მასალები პარტნიორი ბიბლიოთეკებიდან, როდესაც კონკრეტული რესურსები უნივერსიტეტის კოლექციაში არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, აწსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ფართო სპექტრზე წვდომას (<https://library.atstu.edu.ge/scientific-bases.html>), რომელიც მოიცავს სხვადასხვა დისციპლინის ათასობით სამეცნიერო ჟურნალსა და წიგნს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამები

1. **დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
2. **განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
3. **სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
4. **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)
5. **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

აღსანიშნავია, რომ შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე, კლასტერში წარმოდგენილი ყველა პროგრამისთვის, სასწავლო გეგმებში ჩამოთვლილი ძირითადი ლიტერატურიდან შეირჩა 10-მდე ლიტერატურული წყარო. ამ წიგნების ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დადასტურდა. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი ლიტერატურა. გარდა ამისა, შემოწმდა და დადასტურდა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომა. როგორც აღინიშნა, ყველაზე ხშირად გამოიყენება

JSTOR, ResearchGate და Elsevier. როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს აქვთ წვდომა ამ მონაცემთა ბაზებზე როგორც კამპუსში, ასევე მის მიღმა.

უნივერსიტეტს აქვს საკმარისი სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ასევე ლაბორატორიები, რათა უზრუნველყოს კლასტერში წარმოდგენილი ხუთივე პროგრამის საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი საქმიანობის შეუფერხებელი და მაღალი ხარისხის განხორციელება.

გასაუბრების დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყენებენ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს (JSTOR, ResearchGate, Web of Science და Elsevier). მათ ასევე აღნიშნეს, რომ საჭიროებისამებრ ხდება ლიტერატურის განახლება: თუ წიგნი ხელმისაწვდომია, ისინი უკავშირდებიან დეკანატს წიგნის შესაძენად და თუ წიგნი არ იყიდება, ისინი ახორციელებენ საკუთარი ეგზემპლარის ციფრულ ფორმატში გადაყვანას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აწსუ-ს ბიბლიოთეკა <http://atsu.library.ac.ge>;
- სილაბუსები;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზები;
- უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, რაც ხაზს უსვამს დაწესებულების მიდგომას პროგრამების მდგრადობის მიმართ. გარდა ამისა, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია ცალკე ბიუჯეტი. წარდგენილი პროგრამის ბიუჯეტების მიხედვით, ფინანსური რესურსების განაწილება შეესაბამება პროგრამის აკადემიურ და ოპერატიულ საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი კომპონენტის, როგორცაა პერსონალის ხელფასები, მატერიალური რესურსები, ინფრასტრუქტურა, სტუდენტთა მომსახურება, სამეცნიერო/კვლევითი ხარჯები, სტიპენდია, სხვა ხარჯები, მათ შორის ღონისძიებები, ტრენინგები, მასალები, მარაგები და ა.შ., სათანადოდ დაფინანსებას. თუმცა, სტაჟირების ხარჯებისთვის თანხები არ არის გამოყოფილი, მათ შორის აწსუ-ს მიერ სტაჟირების ობიექტებისთვის გადახდილი თანხების ჩათვლით. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სტაჟირების დაფინანსება რეგულირდება ცალკე დოკუმენტით, კერძოდ, რექტორის ბრძანებით. ფაკულტეტის დეკანმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადეს, რომ ბიუჯეტში სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების არარსებობა ტექნიკური შეცდომაა. დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის ბრძანებების ასლები (№01-04/108, 27.11.2024წ.; №01-04/109, 27.11.2024წ.), რომლებიც განსაზღვრავს მასპინძელი ორგანიზაციების თანამშრომლების ანაზღაურების ნორმებს, რომლებიც ჩართულნი არიან პედაგოგიურ, სასწავლო, საწარმოო, დარგობრივ და პროფესიულ სტაჟირებაში. უნივერსიტეტს მიეცა რჩევა, რომ პროგრამის ბიუჯეტში შეიტანოს სტაჟირების ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხები.

საბიუჯეტო გადაწყვეტილებები მიიღება პროგრამის მასშტაბის და სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, რაც დროთა განმავლობაში იძლევა პროგრამის სტაბილური განხორციელებისა და განვითარების საშუალებას. ბიუჯეტის დოკუმენტაცია, პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროებთან დაკავშირებით, გამჭვირვალეა და იძლევა დეტალურ ინფორმაციას. ბიუჯეტის თანახმად, შემოსავლის ძირითადი წყარო სტუდენტების სწავლის საფასურია. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ფორმირება და გაანგარიშება ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს ოფიციალური გადაწყვეტილებების შესაბამისად, კერძოდ, გადაწყვეტილების №175 (თარიღი 28.02.2018წ.) და გადაწყვეტილების №82 (თარიღი 21.12.2021წ.), რომლებითაც დამტკიცდა აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ფორმა.

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი გამოითვლება სპეციალური ელექტრონული ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც შექმნილია წლიური ხარჯების შესაფასებლად. ეს ინსტრუმენტი შეიმუშავა უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურმა. ბიუჯეტი განისაზღვრება პროგრამის საგანმანათლებლო, პრაქტიკული (სტაჟირება) და კვლევითი კომპონენტების საფუძველზე. ხარჯების დაგეგმვა მჭიდრო კავშირშია უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვასთან. ხარჯების განსაზღვრისას პრიორიტეტი ენიჭება ყველა სავალდებულო ხარჯის დაფარვას, რომლის გადახდაც უნივერსიტეტს ევალება კანონმდებლობით. ესენია გადასახადები და მოსაკრებლები, საშტატო განრიგებითა და კონტრაქტებით დადგენილი სახელფასო ვალდებულებები, სტიპენდიები, სადაზღვევო პრემიები და სხვა მსგავსი ვალდებულებები. ეს დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ასევე, უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებულ შიდა რეგულაციებს. ბოლო წლებში, არსებული სახსრების რაციონალური და ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, ფაკულტეტებს უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოეყოთ ხარჯების ლიმიტები. ეს ლიმიტები ეფუძნება თავად ფაკულტეტების მიერ წარდგენილ წინადადებების პროექტს (საბიუჯეტო განაცხადებს). ხარჯების ლიმიტი თითოეულ ფაკულტეტს ანიჭებს უფლებამოსილებას, გამოეყოს თანხები მათი საჭიროებების და უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტის პრიორიტეტული დოკუმენტის შესაბამისად. როგორც ხარჯვის ლიმიტებს, ასევე, ბიუჯეტის პრიორიტეტებს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

ასევე, აღნიშნულია, რომ მიმდინარე ფისკალური წლისთვის გამოყენებულია ოპტიმალური მიდგომა: ფაკულტეტის საპროექტო განაცხადები განიხილება ბიუჯეტის ხარჯვითი ჩარჩოების ფარგლებში, როგორც აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის, ასევე, შესაბამისი ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმების შესაბამისად. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ფინანსური შეზღუდვების მიუხედავად სტრატეგიული მიზნების ეფექტურ განხორციელებას. უნივერსიტეტის ბიუჯეტის გეგმის შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია ყველა პროგნოზირებადი შემოსავალი, რომლის მიღებასაც უნივერსიტეტი მოელის წლის განმავლობაში. ამ დაგეგმვის პროცესში სირთულეს წარმოადგენს საბიუჯეტო წელსა და აკადემიურ კალენდარს შორის შეუსაბამობა. შედეგად, სტუდენტების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლის პროგნოზირება ხდება მომავალი სასწავლო წლისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობის მიხედვით. თითოეული პროგრამის დაფინანსება ხორციელდება გონივრულ ფარგლებში, გამომდინარე უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით გენერირებული შემოსავლიდან.

დაგეგმილი ბიუჯეტის ეფექტური შესრულების უზრუნველსაყოფად, აწსუ-ს დანერგილი აქვს ანგარიშვალდებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. ეს სისტემა იძლევა ფინანსური რესურსების გონივრულად მართვის საშუალებას. უნივერსიტეტის დეპარტამენტები ბიუჯეტის შესრულებას აკონტროლებენ როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე, აწსუ-ს შიდა ფინანსური რეგულაციების შესაბამისად. შემოსავლების მიზნების მისაღწევად, ფინანსური და მატერიალური

რესურსების მართვის სამსახური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან კოორდინაციით, ახორციელებს აუცილებელ ადმინისტრაციულ ქმედებებს კვარტალური ფინანსური ანალიზის საფუძველზე.

საერთო ჯამში, არსებული ფინანსური მხარდაჭერის ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ პროგრამებმა შეინარჩუნონ აკადემიური ხარისხი, მხარი დაუჭირონ სტუდენტების სწავლას და უზრუნველყონ უწყვეტი განვითარება ინსტიტუციური მიზნებისა და ეროვნული უმაღლესი განათლების სტანდარტების შესაბამისად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ითვალისწინებს 35 682 ლარის მთლიან ხარჯებს (რაშიც არ შედის სტაჟირების ხარჯები):

❖ პირდაპირი ხარჯები – 26 282 ლარი;

- აკადემიური პერსონალის ხელფასები, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასები, კონტრაქტით დასაქმებული თანამშრომლების ხელფასები და საათობრივი ანაზღაურების მქონე თანამშრომლების ხელფასები – 22 282 ლარი;

- სამეცნიერო/კვლევითი ხარჯები; მათ შორის სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა ხარჯები – 4 000 ლარი;

❖ არაპირდაპირი ხარჯები – 9 400 ლარი;

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასები (დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯები გამოითვლება ჯგუფის მიხედვით) – 3 000 ლარი;

- აწსუ-ს სტიპენდია – 1 000 ლარი;

- კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები – 1 400 ლარი;

- ინფრასტრუქტურა – 3 000 ლარი;

- სხვა ხარჯები, მათ შორის ღონისძიებები, ტრენინგები, მასალები, მარაგები და ა.შ. – 1 000 ლარი.

პროგრამაზე სწავლის საფასური სტუდენტისთვის სასწავლო წლისათვის 2250 ლარია. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 17 სტუდენტის სწავლის საფასურზე, რაც სულ შეადგენს 38250 ლარს. ასე რომ, ბალანსი 2568 ლარია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ითვალისწინებს 33 525 ლარის მთლიან ხარჯებს (რაშიც არ შედის სტაჟირების ხარჯები):

❖ პირდაპირი ხარჯები – 25 125 ლარი;

· აკადემიური პერსონალის ხელფასები, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასები, კონტრაქტით დასაქმებული თანამშრომლების ხელფასები და საათობრივი ანაზღაურების მქონე თანამშრომლების ხელფასები – 21 125 ლარი;

· სამეცნიერო/კვლევითი ხარჯები; მათ შორის სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა ხარჯები – 4 000 ლარი;

❖ არაპირდაპირი ხარჯები – 8 400 ლარი;

· ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასები (დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯები გამოითვლება ჯგუფის მიხედვით) – 3 000 ლარი;

· აწსუ-ს სტიპენდია – 1 000 ლარი;

· კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები – 1 400 ლარი;

ინფრასტრუქტურა – 2 000 ლარი;

· სხვა ხარჯები, მათ შორის ღონისძიებები, ტრენინგები, მასალები, მარაგები და ა.შ. – 1 000 ლარი.

პროგრამაზე სწავლის საფასური სტუდენტისთვის სასწავლო წლისათვის 2 250 ლარია. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 16 სტუდენტის სწავლის საფასურზე, რაც სულ შეადგენს 36 000 ლარს. ასე რომ, ბალანსი 2475 ლარია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ითვალისწინებს 42 800 ლარის მთლიან ხარჯებს (რაშიც არ შედის სტაჟირების ხარჯები):

❖ პირდაპირი ხარჯები – 33 400 ლარი;

· აკადემიური პერსონალის ხელფასები, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასები, კონტრაქტით დასაქმებული თანამშრომლების ხელფასები და საათობრივი ანაზღაურების მქონე თანამშრომლების ხელფასები – 29 900 ლარი;

· სამეცნიერო/კვლევითი ხარჯები; მათ შორის სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა ხარჯები – 3500 ლარი;

❖ არაპირდაპირი ხარჯები – 9 400 ლარი;

· ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასები (დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯები გამოითვლება ჯგუფის მიხედვით) – 3 000 ლარი;

· აწსუ-ს სტიპენდია – 1 000 ლარი;

· კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები – 1 400 ლარი;

· ინფრასტრუქტურა – 3 000 ლარი;

- სხვა ხარჯები, მათ შორის ღონისძიებები, ტრენინგები, მასალები, მარაგები და ა.შ. – 1 000 ლარი.

პროგრამაზე სწავლის საფასური სტუდენტისთვის სასწავლო წლისათვის 2 250 ლარია. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 21 სტუდენტის სწავლის საფასურზე, რაც სულ შეადგენს 4 7250 ლარს. ასე რომ ბალანსი 4 450 ლარია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ითვალისწინებს 33 620 ლარის მთლიან ხარჯებს (რაშიც არ შედის სტაჟირების ხარჯები):

❖ პირდაპირი ხარჯები – 26 220 ლარი;

- აკადემიური პერსონალის ხელფასები, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასები, კონტრაქტით დასაქმებული თანამშრომლების ხელფასები და საათობრივი ანაზღაურების მქონე თანამშრომლების ხელფასები – 25 220 ლარი;

- სამეცნიერო/კვლევითი ხარჯები; მათ შორის სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა ხარჯები – 1000 ლარი;

❖ არაპირდაპირი ხარჯები – 7 400 ლარი;

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასები (დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯები გამოითვლება ჯგუფის მიხედვით) – 3 000 ლარი;

- აწსუ-ს სტიპენდია – 1 000 ლარი;

- კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები – 1 400 ლარი;

- ინფრასტრუქტურა – 1 000 ლარი;

- სხვა ხარჯები, მათ შორის ღონისძიებები, ტრენინგები, მასალები, მარაგები და ა.შ. – 1 000 ლარი.

პროგრამაზე სწავლის საფასური სტუდენტისთვის სასწავლო წლისათვის 2 250 ლარია. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 16 სტუდენტის სწავლის საფასურზე, რაც სულ შეადგენს 36 000 ლარს. ამგვარად, ბალანსი 2 380 ლარია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ითვალისწინებს 33 620 ლარის მთლიან ხარჯებს (რაშიც არ შედის სტაჟირების ხარჯები):

❖ პირდაპირი ხარჯები – 26 220 ლარი;

· აკადემიური პერსონალის ხელფასები, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასები, კონტრაქტით დასაქმებული თანამშრომლების ხელფასები და საათობრივი ანაზღაურების მქონე თანამშრომლების ხელფასები – 25 220 ლარი;

· სამეცნიერო/კვლევითი ხარჯები; მათ შორის სამეცნიერო მივლინებები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა ხარჯები – 1 000 ლარი;

❖ არაპირდაპირი ხარჯები – 7 400 ლარი;

· ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასები (დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯები გამოითვლება ჯგუფის მიხედვით) – 3 000 ლარი;

· აწსუ-ს სტიპენდია – 1 000 ლარი;

· კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები – 1 400 ლარი;

· ინფრასტრუქტურა – 1 000 ლარი;

· სხვა ხარჯები, მათ შორის ღონისძიებები, ტრენინგები, მასალები, მარაგები და ა.შ. – 1 000 ლარი.

პროგრამაზე სწავლის საფასური სტუდენტისთვის სასწავლო წლისათვის 2 250 ლარია. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 16 სტუდენტის სწავლის საფასურზე, რაც სულ შეადგენს 36 000 ლარს. ამგვარად, ბალანსი 2 380 ლარია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება #175 (პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპები);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 21 დეკემბრის №82 გადაწყვეტილება - "აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ფორმის დამტკიცების შესახებ";
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი;
- რექტორის ბრძანებები (№01-04/108, 27.11.2024წ.; №01-04/109, 27.11.2024წ.), რომლებიც განსაზღვრავს პედაგოგიურ, სასწავლო, საწარმოო, დარგობრივ და პროფესიულ სტაჟირებაში ჩართული მასპინძელი ორგანიზაციების თანამშრომლების ანაზღაურების ნორმებს;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტში გაითვალისწინოს სტაჟირების ხარჯები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის	☒	☐	☐	☐

მომზადების
ინტეგრირებული
საბაკალავრო-
სამაგისტრო
საგანმანათლებლ
ო პროგრამა

პროგრამა 2 - ☒ ☐ ☐ ☐

განათლების
მეცნიერების
სამაგისტრო
საგანმანათლებლ
ო პროგრამა

პროგრამა 3 - ☒ ☐ ☐ ☐

სკოლამდელი
განათლების
საბაკალავრო
საგანმანათლებლ
ო პროგრამა

პროგრამა 4 - ☒ ☐ ☐ ☐

მასწავლებლის
მომზადების
საგანმანათლებლ
ო პროგრამა

პროგრამა 5 - ☒ ☐ ☐ ☐

მასწავლებლის
მომზადების
საგანმანათლებლ
ო პროგრამა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო	☒	☐	☐	☐

საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამა 2 - განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აჩვენებს სტრუქტურირებულ, ხარისხის პოლიტიკაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ეფუძნება ეროვნულ

კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის მმართველობას. PDCA ციკლის, როგორც ცენტრალური მექანიზმის, დანერგვა უზრუნველყოფს იმას, რომ ხარისხის პროცესები იყოს ციკლური და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული. წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 2015 წლიდან, აწსუ-მ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა შიდა ხარისხის პროცესების სისტემატიზაციისათვის, ფოკუსირებით საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებაზე.

სამი ძირითადი პოლიტიკა — EP-QA, RE-QA და ME-QA — კარგად არის შერწყმული და ქმნის ყოვლისმომცველ ჩარჩოს განათლების, კვლევისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავი ძლიერი მხარეა - მმართველობის სხვადასხვა დონისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მათ შორის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და გარე პარტნიორების, როგორცაა დამსაქმებლები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს პერსონალის ტრენინგსა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე. ამ მხრივ, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტებში აღწერილი სისტემა საიმედოდ გამოიყურება, აღწერილობითი ტექსტი დიდ ყურადღებას უთმობს პროცედურულ და სტრუქტურულ დეტალებს - ზემოქმედების გაზომვადი, პირდაპირი მტკიცებულებები ნაკლებად არსებობს, მაგალითად, სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესება ან განხორციელებული პოლიტიკის შედეგად პროგრამის ხელშესახები გაუმჯობესება. ასევე, არსებობს გადაჭარბებული ფორმალიზების პოტენციური რისკი, სადაც სისტემამ ხარისხის რეალურ გაუმჯობესებაზე მეტად შესაძლოა უპირატესობა მიანიჭოს შესაბამისობას, თუ ყურადღებით არ მოხდება მისი მონიტორინგი. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებიდან არ გამოვლინდა მათი პირდაპირი მონაწილეობა პროგრამის განვითარების პროცესში. შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც ასევე არ არის წარმოდგენილი.

საერთო ჯამში, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მეთოდური, თანამონაწილეობითი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისია, თუმცა, სასარგებლო იქნებოდა შედეგებზე დაფუძნებული ინდიკატორების მეტად ინტეგრაცია, რათა უკეთ წარმოჩენილიყო პროგრამის მნიშვნელობას განათლების რეალური გაუმჯობესების ხელშეწყობის მხრივ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა - მექანიზმები
- კითხვარები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- გასაუბრებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, შეიმუშაოთ სტრუქტურირებული მექანიზმები დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობისთვის: მაგალითად კურსდამთავრებულთა პანელური შეხვედრები სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის და სხვა. უფრო პატარა პროგრამებისთვის უმჯობესია პირისპირ შეხვედრების ჩატარება.
- სასურველია, რეგულარულ რეჟიმში განხორციელდეს ზემოქმედების ანგარიშების გაზიარება, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესებების და წარმატების ისტორიების შესახებ. აღნიშნული ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას, გააძლიერებს დაინტერესებული მხარეების ნდობას და გაზრდის უნივერსიტეტის რეპუტაციას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლებისმასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო	☒	☐	☐	☐

განათლება (საბაზო და
საშუალო საფეხური);

მასწავლებლის
მომზადების



საგანმანათლებლო
პროგრამა (მათემატიკა
(საბაზო და საშუალო
საფეხური); ბიოლოგია
(საბაზო და საშუალო
საფეხური); ფიზიკა
(საბაზო და საშუალო
საფეხური); ქიმია (საბაზო
და საშუალო საფეხური);
ინფორმაციული და
საკომუნიკაციო
ტექნოლოგიები; მუსიკა;
ფიზიკური აღზრდა და
სპორტი;

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აწსუ), თავისი პროგრამების შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესებში, ახდენს გარე შეფასების მექანიზმების ინკორპორირებას. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (NCEQE) და პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ადასტურებს დაწესებულების ღიაობას გარე სტანდარტების მიმართ და მის მიდგომას პროგრამების ეროვნულ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართ.

უნივერსიტეტის მიერ გარე კოლეგების შეფასებებისა და ექსპერტების რეკომენდაციების გამოყენება, როგორც ჩანს, სისტემურია და აკადემიური საზოგადოების მიერ გაზიარებულია. კონკრეტულად დადებითია ის, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა და პერსონალმა სრულად გაითვალისწინეს და მოახდინეს ბოლოდროინდელი გარე შეფასებებიდან მიღებულ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლებიც ეხებოდა განათლების მეცნიერების სამაგისტრო (2022წ.) და სკოლამდელი განათლების

საბაკალავრო (2023წ.) პროგრამებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არა მხოლოდ სტანდარტებთან შესაბამისია, არამედ სწრაფად რეაგირებს და მარტივად ადაპტირებადია.

პროგრამის შეფასებაში შიდა აკადემიური კოლეგების ჩართულობა, როგორცაა ასოცირებული პროფესორი მირანდა მნაცაკანიანი, კიდევ უფრო აძლიერებს აწსუ-ს შიდა ხარისხის პროცესების სანდოობას და ხაზს უსვამს დაწესებულების მიდგომას დარგობრივი ექსპერტიზის მნიშვნელობისადმი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გარე შეფასებების შედეგები აშკარად არის გაზიარებული, უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია დეტალურად არ აღწერს თუ რა კონკრეტული ცვლილება ან გაუმჯობესება მოყვა გარე უკუკავშირის შედეგების გათვალისწინებას. ღირებული იქნებოდა, აწსუ-მ უფრო ნათლად წარმოაჩინოს, თუ როგორ შეუწყო ხელი გარე შეფასებების შედეგების გათვალისწინებამ პროგრამის განვითარებას ან სტუდენტთა შედეგების გაუმჯობესებას.

საერთო ჯამში, აწსუ აქვს დაბალანსებული მიდგომა შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ, რაც უზრუნველყოფს, რომ უსდ-ს თანამშრომლობაზე და მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულს ხდის. შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების შემდგომი ზემოქმედების დოკუმენტირება და ამ მიმართულებით, აკადემიურ საზოგადოებასთან კომუნიკაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას კიდევ უფრო გამჭვირვალეს და სტაბილურს გახდის.

საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა ასევე იქნებოდა ღირებული. საერთაშორისო ექსპერტების რჩევების მეტად გათვალისწინებამ შესაძლოა პროგრამის ხარისხი კიდევ უფრო გააუმჯობესოს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები;
- o გარე კოლეგიალური მიმოხილვები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლებისმასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური);	☒	☐	☐	☐
მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი;	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემების სისტემური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (აწსუ) დანერგა საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების ციკლური სისტემა, რაც აჩვენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას. უნივერსიტეტი იყენებს სტრუქტურირებულ მიდგომას EP-QA 1.2 პროცედურის მეშვეობით, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ვადებს, პასუხისმგებლობებს და მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის კონკრეტულ ინსტრუმენტებს.

მრავალი წყაროდან უკუკავშირის მიღების მექანიზმი, რომელშიც მონაწილეობენ სტუდენტები, მასწავლებლები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, ხაზს უსვამს პროგრამების ხარისხისა და შესაბამისობას. დაწესებულების მიერ სტუდენტების მოსწრების მონიტორინგის, მატერიალური რესურსების შეფასებისა და საკლასო ოთახში „ორმხრივი დაკვირვების“ მექანიზმების სისტემური გამოყენება მიუთითებს სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესების დინამიურ შეფასებაზე და შემდგომ რეაგირებაზე.

2017 წლიდან აწსუს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში დანერგილი აქვს - ურთიერთდასწრების პოლიტიკას, რაც ხელს უწყობს კოლეგიალურ სწავლებას და აკადემიური პერსონალის უწყვეტ გაუმჯობესებას. ეს ხელს უწყობს პროფესიული განვითარების კულტურის ჩამოყალიბებას და სწავლების პრაქტიკის დახვეწას.

მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ხდება გადაწყვეტილებების მიღება როგორც პერსონალთან, ასევე პროგრამასთან მიმართებით. უკუკავშირის მექანიზმის გამოყენება აუცილებელია ხარისხის მართვისთვის. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტებში კარგი იქნებოდა მონიტორინგის (როგორცაა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის პერიოდული შედარების შედეგები უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან და ა.შ.) შედეგების საფუძველზე განხორციელებული კონკრეტული ცვლილებების ან უკუკავშირის შედეგების გათვალისწინების კონკრეტული მაგალითების მოყვანა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურობის მტკიცებულება იქნებოდა სტუდენტების წარმატების მაჩვენებლების, დასაქმების შედეგების ან სწავლების მეთოდების დროთა განმავლობაში გაუმჯობესების ნათლად ილუსტრირება. გასაუმჯობესების დროს გამოვლინდა, რომ მაგისტრანტები არ აფასებენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას, ასევე, სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

საერთო ჯამში, აწესებს აქვს კარგად დოკუმენტირებული შიდა ხარისხის მონიტორინგის ჩარჩო, რომელშიც ჩართულია დაინტერესებული მხარეები და გათვალისწინებულია მონიტორინგის შედეგებზე შესაბამისი რეაგირება.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა
- უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი
- გასაუბრებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება უკუკავშირის შეგროვება, სასურველია, დაწესებულებამ განსაზღვროს თუ როგორ ხორციელდება უკუკავშირის ანალიზი და გამოყენება პროგრამის განახლების და განვითარების მიზნით. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს გამჭვირვალე სამოქმედო გეგმა, რომელშიც აისახება უკუკავშირის თითოეული ელემენტის გათვალისწინება და უკუკავშირის ციკლის დასრულების მიზნით შედეგების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

რჩევები:

განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება და სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური);	☒	☐	☐	☐

ინგლისური ენა
(დაწყებითი, საბაზო და
საშუალო საფეხური);
გერმანული ენა
(დაწყებითი, საბაზო და
საშუალო საფეხური);
ფრანგული ენა
(დაწყებითი, საბაზო და
საშუალო საფეხური);
რუსული ენა (დაწყებითი,
საბაზო და საშუალო
საფეხური); ისტორია
(საბაზო და საშუალო
საფეხური); გეოგრაფია
(საბაზო და საშუალო
საფეხური); სამოქალაქო
განათლება (საბაზო და
საშუალო საფეხური);

მასწავლებლის
მოსამზადებელი
საგანმანათლებლო
პროგრამა (მათემატიკა
(საბაზო და საშუალო
საფეხური); ბიოლოგია
(საბაზო და საშუალო
საფეხური); ფიზიკა
(საბაზო და საშუალო
საფეხური); ქიმია (საბაზო
და საშუალო საფეხური);
ინფორმაციული და
საკომუნიკაციო
ტექნოლოგიები; მუსიკა;
ფიზიკური აღზრდა და
სპორტი;



პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	☒	☐	☐	☐
სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	☒	☐	☐	☐
მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება	☒	☐	☐	☐

(საბაზო და საშუალო საფეხური);				
მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი;	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
სტანდარტი					
პროგრამა 1 - დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;					
განათლების მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური);	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მუსიკა; ფიზიკური აღზრდა და სპორტი;	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
---	---------------------------------	---------------------------------	---------------------------------	---------------------------------	---------------------------------